## ხელშეკრულება №21
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი

7 აპრილი2016წელი

ერთის მხრივსსიპ ქალაქ გორისN2 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი დირექტორის გიორგი ბერძნიშვილის სახით და მეორეს მხრივკომპანია ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა მისი დირექტორის კ უბირიას(შემდგომში,,მიმწოდებელი")სახით ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანიასკოლისთვისწიგნების და ჟურნალებისშესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: CPV-22100000,22200000.

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარი).

3.2 შესყიდვის ობიექტისსაერთო ღირებულება შეადგენს144 (ას ორმოცდაოთხ)ლარს.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისთვის მიწოდება განხორციელდებახელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 30დეკემბრამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და შესაბამისი დოკუმენტი).

### 6. ანგარიშსწორების ფორმადა გრაფიკი (ვადები)

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარი).

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

### 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2017 წლის 1 თებერვლამდე.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სკოლის დირექტორი – გიორგი ბერძნიშვილი

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*14. სხვა პირობები*

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

*15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

„შემსყიდველი":

სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა

მის:ქ,გორი, ლომიურის ქ. N20

ს/კ:218016689

ბანკი:სს ". ვითიბი ბანკი"

ა/ა:GE52VT0200000002893408

დირექტორი:გიორგი ბერძნიშვილი

„მიმწოდებელი":

კომპანია ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა

მის: ჩუბინაშვილის #50

ს/კ418465529

ბანკი: სს „ საქართველოს ბანკი"

ა/ა: GE49BG0000000607101200

დირექტორი: კ. უბირია

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. გორი

22 ივნისი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქ. გორისN2 საჯარო სკოლა მისი დირექტორის გიორგი ბერძნიშვილის სახით, „შემსყიდველად“ წოდებული და მეორეს მხრივ კომპანია ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა მისი დირექტორის კ.უბირიას სახით, „მიმწოდებლად“ წოდებული ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 7 აპრილს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები „მიმწოდებელმა“ შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა„ მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. ღირებულებამ შეადგინა –72 *ლარი.*

„მიმწოდებელი“

კომპანია ჟურნალი
გადასახადები და აღრიცხვა

/კ.უბირია/

„შემსყიდველი“

სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა

/გიორგი ბერძნიშვილი/

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. გორი

25 ივლისი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქ. გორისN2 საჯარო სკოლა მისი დირექტორის გიორგი ბერძნიშვილის სახით, „შემსყიდველად" წოდებული და მეორეს მხრივ კომპანია ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა მისი დირექტორის კ.უბირიას სახით, „მიმწოდებლად" წოდებული ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 7 აპრილს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები „მიმწოდებელმა" შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა„ მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. ღირებულებამ შეადგინა –12 *ლარი.*

„მიმწოდებელი"

კომპანია ჟურნალი
გადასახადები და აღრიცხვა

/კ.უბირია/

„შემსყიდველი"

სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა

/გიორგი ბერძნიშვილი/

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. გორი 16 აგვისტო 2016 წელი

ჩვენ ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქ. გორისN2 საჯარო სკოლა მისი დირექტორის გიორგი ბერძნიშვილის სახით, „შემსყიდველად“ წოდებული და მეორეს მხრივ კომპანია ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა მისი დირექტორის კ.უბირიას სახით, „მიმწოდებლად“ წოდებული ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 7 აპრილს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები „მიმწოდებელმა“ შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა„ მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. ღირებულებამ შეადგინა –12 ლარი.

„მიმწოდებელი“

კომპანია ჟურნალი
გადასახადები და აღრიცხვა

/კ.უბირია/

„შემსყიდველი“

სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა

/გიორგი ბერძნიშვილი/

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. გორი 22 სექტემბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქ. გორისN2 საჯარო სკოლა მისი დირექტორის გიორგი ბერძნიშვილის სახით, „შემსყიდველად“ წოდებული და მეორეს მხრივ კომპანია ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა მისი დირექტორის კ.უბირიას სახით, „მიმწოდებლად“ წოდებული ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 7 აპრილს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები „მიმწოდებელმა“ შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა„ მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. ღირებულებამ შეადგინა –12 ლარი.

„მიმწოდებელი“

კომპანია ჟურნალი
გადასახადები და აღრიცხვა

/კ.უბირია/

„შემსყიდველი“

სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა

/გიორგი ბერძნიშვილი/

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

27 ოქტომბერი 2016 წელი

ქ. გორი

ჩვენ ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქ. გორისN2 საჯარო სკოლა მისი დირექტორის გიორგი ბერძნიშვილის სახით, „შემსყიდველად“ წოდებული და მეორეს მხრივ კომპანია ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა მისი დირექტორის კ.უბირიას სახით, „მიმწოდებლად“ წოდებული ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 7 აპრილს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები „მიმწოდებელმა“ შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა„ მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. ღირებულებამ შეადგინა –12 ლარი.

„შემსყიდველი“

სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა

/გიორგი ბერძნიშვილი/

„მიმწოდებელი“

კომპანია ჟურნალი
გადასახადები და აღრიცხვა

/კ.უბირია/

# მიღება-ჩაბარების
# ა ქ ტ ი

1დეკემბერი 2016 წელი

ქ. გორი

ჩვენ ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქ. გორისN2 საჯარო სკოლა მისი დირექტორის გიორგი ბერძნიშვილის სახით, „შემსყიდველად" წოდებული და მეორეს მხრივ კომპანია ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა მისი დირექტორის კ.უბირიას სახით, „მიმწოდებლად" წოდებული ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 7 აპრილს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები „მიმწოდებელმა" შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა„ მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. ღირებულებამ შეადგინა –12 ლარი.

„შემსყიდველი"

სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა

/გიორგი ბერძნიშვილი/

„მიმწოდებელი"

კომპანია ჟურნალი
გადასახადები და აღრიცხვა

/კ.უბირია/

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

26 დეკემბერი 2016 წელი

ქ. გორი

ჩვენ ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქ. გორისN2 საჯარო სკოლა მისი დირექტორის გიორგი ბერძნიშვილის სახით, „შემსყიდველად“ წოდებული და მეორეს მხრივ კომპანია ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა მისი დირექტორის კ.უბირიას სახით, „მიმწოდებლად“ წოდებული ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 7 აპრილს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები „მიმწოდებელმა“ შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა„ მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. ღირებულებამ შეადგინა –12 ლარი.

„შემსყიდველი“

სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა

/გიორგი ბერძნიშვილი/

„მიმწოდებელი“

კომპანია ჟურნალი
გადასახადები და აღრიცხვა

/კ.უბირია/